ეპოსის მეორე პოპულარული გმირი-ქალის სახელი ხათანაა მხოლოდ ერ-  
თი ფორმით გვხვდება მთარაჭულში. შდრ. ოს. ხათანა, ყაბარ დ. ხათანე. Dumézil-ი ხათანა-ს უკავშირებს სომხ. ხათინიკ-ს, და ამ იგივეობას ამაგრებს  
სათანადო სიუეტების შედარებითი ანალიზითაც.

#### ხოსუანი...

ეპოსის III ციკლის ცენტრალური გმირი მთარაჭულში გვხვდება ორ ვა-  
რიანტად: ხოსუან-ი, ხოსურან-ი. შდრ. ოს. ხოსურუკ, ხოზრუკ, ხოსურუ-  
კო; ყაბარ დ. ხოსრუკო. ოსურში ეს გმირი ხოსლან-ის სახელწოდებითაც  
გვხვდება (ვარიანტებში).

ნათელია, რომ ეს სიტყვა ოსურში და სხვაგან გაფორმებულია ყაბარ-  
დოულ... ნიადაგნე: ყო, ურა 'შეილი' ამ ენობრივი წრის ცნობილი სუფიქსია.  
ამგვარად, ვლებულობით: 'ხოზგრ-ხოსრ-ის შეილი'. ძირული მასალა ხოზგრ-ხოსრ



ირანულ ნიადაგზე არ იხსნება; იგი გამხოლოდებული ჩანს ჩევნი ეპოსის ენობ-  
რიან სამყაროში ([3], გვ. 70—71). ამავე დროს, მისი დაკავშირება ხოსლან-თან  
თუ სიუჟეტური ვარიანტებითაც. თუმცა ხოსლან-ი ისურიშ გატრელებუ-  
შეიძლება სიუჟეტური ვარიანტებითაც. შემდეგ მიმოხვდეს (შერ. ქართული  
ლი და ამ სახელს ისტორიული ტრადიციაც ზურგს უმაგრესს) (შერ. ქართული  
ჭყაროვბიდან დავით სოსლანი), —მაგრამ არც ამ სიტყვის გამზრიანება  
ხერხდება ოსურის (resp. ირანულის) სინამდვილეში.

მთარაგული ხოსტანი შეგვეძლო დაგვიკავშირებინა ხოსლან-თან: უ მივეკინია სა- რეც-  
ლექსალ. ამ ვარაუდს ხელს შეუწიობდა ის ფაქტი, რომ მართლაც, მთარაგულში კი შესაბა-  
ლებელი, რამდენადაც აქ სა ღრმო არც უკანაგრინისმიერია [7] (შემ. რუსულ დიალექტებიდან-ი;  
ასეთი, რამდენადაც აქ სა ღრმო არც უკანაგრინისმიერია [7] (შემ. რუსულ დიალექტებიდან-ი;  
ასეთი, რამდენადაც აქ სა ღრმო არც უკანაგრინისმიერია [7] (შემ. რუსულ დიალექტებიდან-ი;  
ასეთი, რამდენადაც აქ სა ღრმო არც უკანაგრინისმიერია [7] (შემ. რუსულ დიალექტებიდან-ი;

ସବୁରେଣୁହାନ୍ତିରି...

ამ ეპიზოდური გმირის სახელიც ვარიანტულია: სიბრიში, სიბრიში, და, შესაძლოა, შიბიფი-ც. შრდ. ოს. სგბალც, სუბალც; ყაბარდ. სგბგლში... ქრთი ძირისა ჩანან.

៨០៦២៩

Ergonomics

გერმანია და ალაუგანის შეილია შავა, შაუ. შდრ. ოს. სხვამ, მაღაწ.  
შაოახ, ბეკლუხ. სხვამ.

ପ୍ରକାଶନକୁ...

(1) ଶ୍ରୀମତୀ(ର) ସାହୁତାରୀ ସାହେଲିପ୍ରାଦ ମତାରାକ୍ଷେତ୍ରିଙ୍କୁ

წაოთული ეპოსის ქართული ვარიანტები ოსურ-ქართულის ლექსიკურ ურთიერ დაკავშ. 103.

**ბათი-ყოელი:** ქართულ ნიადაგზე განკვეთილი ჩანს სიტყვა; წინა ნაწილი მიკრულია ძირითად მასალასთან: მაირ-ბათო-ყო-ელ. აქაც იგივე სიტყვაა. არ არის ჩემთვის ნათელი ბაილუ, მაირ ელემენტები. მაირბათი-ყოელი რომ იცი-ვი უნდა ცის, რაც ბათოვა etc., ეს ჩანს სიუშეტური მასალიდანაც: ერთს ვა-რიანტში მაირბათი-ყოელი გველინება, ხოლო მეორეში ბათუფა, ბათოვა ან ბათრიბეგი. ეს უკანასკნელი კი უეპველად იმავე ძირის შემცველია: ბათრი-ი-ბეგ.

როგორც ჩანს, ამ გმირის სახელი მთარაჭულ ვარიანტებში ჩერქეზული ვაფორმებითა გაერცელებული. მეგრულშიც გვაქვს ბათუფა, როგორც საკუ-თარი სახელი...

სიუშეტური ანალოგიებისა და საკუთარ სახელთა ერთგვარობის გამორ-ავევის შემდევ უნდა ვიკითხოთ: იცის თუ არა ქართულმა (resp. მთარაჭულმა) ამ ეპოსის ტომური სახელი ნართი? იცის,—და ამის დამადასტურებელია სათანადო კონტექსტებში გამოოქმები: ნართ—ხალხი, ნართები, ნართის ქა-ლაქი („რაც ამ გვარმა ქასო, ნართის ქალაქმა ზღოსო“ [8]).

უფელივე ამის შემდევ გამოსარკვევად საკითხი: საიდან უნდა შემოსული-კო მთარაჭულში ნართულ ეპოსი?

მთარაჭა ონის რაიონის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილია და წარმოადგენს სამ სოფელს: გლოლას, ჭიორასა და ღებს. ამ სამი სოფელის შეტკეცება გამასულობულ ადგილს იქერს ქართ. დაალექტოლონგაში და შეკვერად უპირისი ტერიტორია შემორაჭულსა და ქვემორაჭულს (1. მთარაჭელებს ემზადებოან ჩრდ. კავკაპის ტომები). ნართების ეპოსი ზემორაჭა—ქვემორა-ჭაშ არ იცის.

ვნახოთ, რა მიმართება საერთოდ მთარაჭელებსა და ჩრდ. კავკასიის ტომებს შორის როგორც ლინგვისტურად, ისე ფოლკლორის თვალსაზრისით.

მთარაჭული ისეთი მეტყველებითი სინამდვილეა, რომელსაც დაუცავს ოს-თა არქაული ტომეური სახელი ოვს-ი, დამახასიათებელი ძეველი ქართულისათვის. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს ფაქტი, რომ ამავე კილომში ამჟამადაც ცოცხალია მეორე ტომეური სახელი დვალი-ი. მესამე მხრით, ოსები დიგორლების სახელითაც არიან ცნობილი მთარაჭაში. აქედან: ოვსეთი. დვალეთი, დიგო-რი. რა მიმართებაა. ამ ტერმინთა შორის?

ცნობილია, რომ ამჟამად ოსური შეიცავს სამ დიალექტს: ირონულს, დი-გორულსა და დვალურს [9]. ამ სამ ტომეურ ერთეულიდან მთარაჭული არ იც-ნობს ირონელთ. საინტერესოა შემდევი გარემოება. მთარაჭულში ოსები ჩვე-ულებრივი და იწოდებიან დიგორლებად, ხოლო დვალი-ი და ოვს-ი სასაუბრო ენაში თითქმის არა გვხდება; იგი პოეტური ფოლკლორის ფაქტებში იჩენს თავს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ოვსი—დვალი არქაული იერის მატარებელი ტერმინებია. ამავე დროს, ეს ორი ტომეური სახელი ამ დაპირის-პირებით იხმარება ხშირად: „ოვს და დვალი“,<sup>1</sup> „ოვსი, დვალი“. მაგალ..

<sup>1</sup> მოხსენებაში—„ზემორაჭულის ძირითადი თავისებურებანი“ (31.X 1944) შემთხვევა გვეონდა და გვესაბუთებინა მთარაჭულ-ზემორაჭულ-ქერისრაჭულის კილოკაური სტეადასხვაობა.

<sup>2</sup> გვაგონდება ქართულ საისტორიო შუაზოულიდან ასეთი პარალელური ფორმებით „ოვსი“ და დვალი“.

მაღლა მთას მოდგა უცხო მფრინაველი, ორბი ფრთიანი,  
ჩლელეს ჩამოდგა დიდი ლაშეარი, დიდი ლაშეარი ოვეზ და დვალი.

### აგრეთვე:

ცნობილი მანი ვიკენით—ოვენი, დვალი—ბალათარი,  
ახამ მეფეს და მოყტაც, მას მოინმარეთ ხელი.

რით აძხსნება ეს დაპირისპირება?

გ. ახვლედიანმა ყურადღება მიაქცია ვახუშტის შემდეგს ცნობას: „...გვა-  
რიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა კვალად დვალადვი“;  
ანდა: „...არმედ დვალი უმდაბლესი არიან გვარითა... ენა აქტო ძელი დვა-  
ლური (ფრანგ. თარგმანში: *ils parlent l'ancienne langue d'wale*, —Bresset) და  
აშ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაიდგან ჩერქეზთა ენა სხვა არის“ [10]. ამ  
ადგილიდან ირკვევა როგორც წილდებრივი ურთიერთობა ოსთა (აღმართ ი რ ონ-  
თა) და დვალთა, ისე ენობრივიც. გ. ახვლედიანი გარაუდობს, რომ ოსნი (resp.  
ირონები) შემოჭრილან დვალეთში და გაბატონებულან დვალებზე. ეს დვალე-  
ბია, რომლებიც გადმოდიან ქედის გადმოლმა მაღრან-დვალეთით და შემდეგ  
უფრო სამხრეთ-დასავლეთისაკენ; ეს დვალებია, რომელთა შესახებ ვახუშტი ამ-  
ბობს: „სარწმუნოებით არიან ძელად ქრისტენები და სამწყსონი ნიჯოზისანი,  
და უფროს დვალინი“. რაც შეეხება „ენა აქტო ძელი დვალური“ და აშ უბნო-  
ბენ ოსურსა საკუთრად...“, ეს იმას მოწმობს, რომ დვალები, საკმიად ვანსხვა-  
უბულ დიალექტზე (და არა სხვა ენიზე: შდრ. „ჩერქეზთა ენა სხვა არის“) მო-  
ლაპარაკენი, ითვისებენ ირონულ დიალექტს („ოსურსა საკუთრად“ [10], გვ.  
194—195).

ხომ არ არის ოსურისა (resp. ირონულისა) და დვალურის აღრინდელი  
დაპირისპირების რეგიონისცენტრია მთარაჭულ არქაულ შეტყვილებაში „ოვენი და  
დვალი“-ის გამოთქმის სახით?

რაც შეეხება ტერმინს დიგორი (აქტან დიგორელი), როგორც აღინიშნა,  
იყი გაბატონებულია სასაუპრო ენაში და, ამასთანავე, ლექსიბშიც (შდრ. „დი-  
გორის ჩამოსხდეს ვეზირი, რეჟული ბადელიანინ“<sup>1</sup>):

ჩვენთვის საინტერესო ეპოსის მთარაჭულში გავრცელების გზების  
გამოსარკვევად სიმპრომატურია ოსურ-მთარაჭული ლექსიური შეხვედრების  
გათვალისწინება.

1. მთარაჭულში ოსურიდან ნასესხებია ისეთი მნიშვნელოვანი ცნების გამომ-  
ხატველი სიტყვა, როგორიცაა „ლაპარაკი, საუბარი“, —ესაა ნახშობა. ოსურში  
გვაქვს: ნებას | ნიხას, შიშინა ფორმით: ნებაშ. ეს. მიღერით: ნებას=სივი,  
რечь, разговор, беседа; Wort, Rede, Gespräch, Unterhaltung, Gemeindeversammlung, Gemeindeversammlungsplatz...[11]. მთარაჭულში ეს სიტყვა მცვიდ-  
რიად ფეხმოვიდებულია (მენახშება, ვნაბშობ, გადაენახშა, წამენახშა...). ამ  
ფორმის ქართულ სინონიმთა გამოყენების არე შევიწროებულია. აქტან: ხა-  
ნახშო ტექნიკური ტერმინია: ეწოდება სოფელში თავშესაყარ ადგილს, სადაც  
იქრიბებიან სამასლაათოდ. ზმნური ფორმა ამ სიტყვისა მთარაჭულშია, ხოლო

<sup>1</sup>) აქვე აღმინდნავთ, რომ რაჭაში გაერცელებულია გვარისსახელები: დვალი, დვალიშვილი.

ନୀରତିକ୍ଷଣ ପ୍ରକଳ୍ପରେ ହାରିବାରୁ ଦେଖିଲୁଗିଲା ଲୋକଙ୍କ ବ୍ୟାକରଣ ଶରୀରରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

სანაცხვა ზემორიაქულშიცაა გარცელებული. 2. მთარიგები სეანური მურ-  
ყავამის ტიპის ქვის სახლს დურიანი საბლი ეწოდება. დური ამეაძღვ ჰქვი-  
კედებში გამოკრილ სარკმლის მსგავს არეს, რომელსაც გარედან იყავს  
თლილი ქვის თაღები (ქონგურები). აქედან ძევლად ჰყრილნენ საგანგებოდ ატა-  
ნილ ჰქვებს, როდესაც კოშკი მტრი მიუხსოვდებოდა. სავარაუდოა, თვედა-  
პირელად დური ერქვა კოშკს, ციხის მე-4 სართულს, სადაც მოთავსებული  
იყო აზიდული ჰქვები მტრის თავში დასაშენად. შდრ. „ციხისა დუროს შე-  
იჭრა, მაღლა დაწყო ხმიანი: ვაედო, ფრთხილად იყვენით, საქმეა ღალატუ-  
ნი“. გვაგონდება ოს. დურ (ქვა). 3. კავის მხარს გვინოლს უწოდებენ ზოგჯერ.  
შესაბამისია ოს. გინონ, გუინონ. 4. იაშან-ი ცხენის სენია. ოსურში აშმენ = ყუ-  
მა, იოალ ბოლეზე [11]. 5. თალაყაურ-ი ტყლიბის ტკივილა. შდრ. ოს.  
თალლოხ. 6. ჯიყა ეწოდება რეგში გამომტხვარ პურს ან მჭადს, რომელშიც  
ყველს ჩატანენ. შდრ. ოს. ძგეჭა. საბას ცნობით: „ჯიყა ჩერქეზნი უწოდებენ  
ახალს ყველს, რომელსაც მოხელენ ძალიან, ჰელით გამოსცყლეტენ და რაც სი-  
პოხე გამოუტა, იმ გამონაცყლეტს იმაში მოსწევნ და სტუშიას უთავაზებენ.  
კარგია საჭმელად“ [12]. 7. ოსურ ყაიდაზე გამომტხვარ პურს ქარჯინას უწ-  
დებენ (ნაცარში გამომტხვარი კვერია). გადატანით ცუდად გამომტხვარ პურსაც  
ეძახიან. სიტყვის ნევატიური შინაარსი კარგად ჩანს ერთი ცნობილ ლექსიდან:  
„გეგმამოს ოსის ქარჯინა, გამოდგომდე თხებსაო“. ოსურში არის ქსრინ (მი-  
ლერით: ქლებ [ჯამხნამ, ყისიანი, კუკურუზნა]). სხვათამორის: ევევი სი-  
ტყვა დაცულია სეანურ ლექსში: „ვო, საბრელა ბაპარ ნიშვევ, ქარჯინს ჯამინებ  
სავაში“ = ო, საბრალო ჩვენო მღვდლებო, საეთის ქარჯინს გაშმევვენ [13].  
8. დაცულია ტერმინი მუჯირა — რეინაწმოცმული ხის ჯოხი. შდრ. ოს. მუ-  
ძრა (მილერი: კოხე, შთაკ). სეანურშიცაა დაცული (მუჯირა). შემონახულია  
ლეჩებულებრ დიალექტშიც (მუჯურო) <sup>(1)</sup>. ვერ ვიტყვათ, ვისი კუთვნილებაა ეს  
სიტყვა <sup>(2)</sup>.

ფუნქციური სახეცვალების მმრივ ღონისძიებია: 1. ოს. გ—ქართ. ა (ნებას → ნაბშობა; ხშმენე — იამან); 2. ოს. ძ—ქართ. ზ (ძგბერი → იზბირი); 3. ოს. ძ—ქართ. ჯ (ჯრინინ → ქარჯინა; მუძურო — მუჯირა; ძგქა — ჯიკა); 4. ოს. პ—ქართ. ა (ეპმენე — იამინ; ქერმინინ — ქარჯინინ) და სხვ.

ჩვენს კილომში დაცულ ისურ სიტყვებს მნიშვნელობა აქვთ ისური ენის ისტორიისთვისაც. გ. ახვლედიანმა გამოიარევია [9], რომ ირონულ-დიგორულის სისინა აფრიკატებს (ც—ძ—წ) დაპატიჟის შეესატყვისებოდა შიშინა აფრიკატები (ჩ—ჯ—ჟ). მაგრამ ეს იყო დაღურის ძველ საფეხურზე (იალუტი-

(<sup>4</sup> ეს სიტუაცია შემორჩენულმა და ქვემოთა გულმა არ იცის; იცის მნიღობოდ მთარჩენულმა და ლენინის უმცროსა. ამიტომ, უნდა ვიფრივოთ, ლენინის უმცროსი სეანურიდანაა იგი შემორჩილია. მ. ჩიქოვანი ლენინს. ლენინი მუკურტის გამწმრებას, როგორც კომბალს. მ. ალავიძის ლენინი ეს სიტუაცია განმარტებულია, როგორც ჯონის ბოლოზე წამოცმელი რკინია. ამავე დროს, მას კურის ფსკერის მინისტრებულობაც პერიოდია. ჩევრონის ამასავალია ვრცე. ბერიძის „სიტუაციის კონკრეტული განმარტება“.

სა და Rosen-ის მიხედვით), თორემ ამ ეა მაღ ისინი შიშინა სპირანტებად ძლიერდან... ეს არქაული ვითარება შესანიშნავადაა წარმოდგენილი მთარაჭულ-ში (ქარჯინა შდრ. თანამედროვე ოს. ქარჯინ; ჯიკა შდრ. თანამედრ. ოს. ძგება; მუჯირა შდრ. თანამედრ. ოს. შუძურო). უკეცელია, ქართ. დიალექტ-ში თავის თავად კი არ განვითარებულა ოს. ძ-ს შესატყვიად ჯ, არამედ ეს ფორმები ძველად ნასესხები „დავალური ფორმებია“, და ამდენად წარმოგვიდგენენ ოსური ენის ძველ ვითარებას. მმ მაგალითების სახით მრავლდება გ. ახელედინის დებულების საილუსტრაციო ფაქტები, და ისინი გვერდში ამოულებიან იალუზისა და Rosen-ის ძველი ჩანაწერებიცან სათანადო ფორმებს<sup>(1)</sup>...

თუ იმასც დავვინთ, რომ მთარაჭულ ზეპარსიტყვაობას ყაბარდოულ... სამყაროსთანაც აკაეშირებს მთელი რიგი ციკლები ხადაოჯუხასი, თათარ-შაუ-სი, ალრჯევენისა და სხვათა, —ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს და-ვასკნათ, რომ ნართული ეპონის დამყიდრებისათვის ჩვენს სინამდვილეში სა-თანადო საფუძველი არსებულა როგორც ისურ, ისე ყაბარდოულ... ენობრივ წრიდან. საუთარი სახელების შედარებითი ანალიზი გვავიჩუდებინებს, რომ ამ ეპონის ელმენტები შემოსულა ქართულ ენობრივ სინამდვილეში ორგვე ზე-მოაღნიშნულ წყაროდან.

ბათრაზის ციკლის მასალა განსაკუთრებით ყაბარდოული წრისა ჩანს. ბა-თუყო—ბათოყა სიტუვების სტრუქტურა ამაზე მიუთითებს: აქ ყა ყაბარდოუ-ლი მასალაა. მართალია, ამ სტრუქტურის ფორმები ისურის გზითაც შეიძლებოდა შემოსულიყო (შდრ. ოსურში სოჭრუყო), მაგრამ ბათურ-ის მასა-ლასთან ჟვა—ჟვა არა ჩანს ისურში. როგორც სიმ. ჯანაშიამ მიუთითა, ყაბარდ. ჟვა ქართულში გაღმისული ჟვა-ს სახით (ინგოროვა, ართილავედა...); ამავე ძირისა და მნიშვნელობის უბისური ქვა, ქვა-ს სახით (სალუქვაძე, თალაქვაძე...), ხოლო ამავე რიგის კიახური ქუა ქართულში უნდა გად-მოსულიყო ხუა—ხუა-ს ფორმით [14]. მთარაჭული მასალები გვეუბნებიან: ა) ჟუა—ჟვა შესაძლოა გაღმოვიდეს ჟა-ს სახითაც (ბათოყა), ბ) ხუა—ხუა კი ხა-ს სახით, რასაც ამტკიცებს ხადაოჯუხა. ეგევე სიტუვა სვანურში ხადაჯუუყა-ს ფორმით გვხვდება ერთ ლექსში: „ოია, ოიალე, ხადაჯუუყა, ისგუ ლაშ-გარ“ = „ოია, ოიალე, ხადაჯუუყა, შენი ლაშქარი“ [13, გვ. 45]. სვანურისა და მთარაჭულის ფორმები სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ.

თუ ლებურ გვარისსახელში—ბათხაძე—ბათხა ს გავიგებთ, როგორც ბა-თუ/ა-ხუა-დან მომდინარედ (შდრ. ბათოყა—ბათუყა), მაშინ ხადაოჯუხა-ს გვერდში ამოუდგებოდა ეს მაგალითიც.

საჭართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემავიდა რედაქტირაში 20.12.1944)

(1) თანამედროვე ოსურში, მაგალ., არის ქვრ ძინ (ირონულ-დაგორ.) და ქვრ ფინ. ძველ საფუძურნე უნდა ყოფილი ქვრ ჯინ, და ეს თეორიულად აღდგენილი ფორმა დაუცავს სწორედ ქართულ დიალექტებს (მთარაჭულის გარდა შემამულია ქართლურშიც, ოლონდ ის სოფლების მეტყველებაში, რომელიც აკავეს ოსურ მოსახლეობას).

ШОТА ДЗИДЗИГУРИ

ГРУЗИНСКИЕ ВАРИАНТЫ НАРТОВСКОГО ЭПОСА В СВЯЗИ С  
ОСЕТИНСКО-ГРУЗИНСКИМИ ЛЕКСИЧЕСКИМИ  
ВЗАИМООТНОШЕНИЯМИ

Резюме

Знаменитый «нартовский эпос» составляет достояние народов Северного Кавказа. Нартовская проблема раскрывает культурно-исторические связи Северо Кавказских народов, а также разрешает ряд вопросов мифологии данных этнических единиц. В лингвистическом отношении ценность нартовского эпоса громадна. Из литературы по данному вопросу выделяются труды W. Miller-я; G. Dumésil-а, В. И. Абаева.

1. Элементы нартского эпоса наличны также и в грузинской действительности, в частности в народном творчестве рачинской, собственно горнорачинской (т. е. мтарачинской) этнической единицы<sup>1</sup>.

2. В соответствующих сюжетах фигурируют нарты: *Orizbeg* || *Orizmeg* || *Orizma* (ორიზბეგ || ორიზმეგ || ორიზმა); *Satana* (სათანა); *Sosuan* || *Sosran* (სოსუან || სოსრან); *Sibrizi* || *Sibriči* || *Šibiriči* (სიბრიზი || სიბრიჩი || შიბრიჯი); *Genžē* (გენჯე); *Šava* || *Šau* (შავა || შაუ); *Batuqo* || *Batoqa* || *Mairbati—qeeli* || *Batribeg* (ბათუყო || ბათუყა || ბათუყ—ბათუყა || მაირბათი ყოელი || ბათრიბეგ). Нарялу с нартами выступают: *Alaugan* || *Alavgan* (ალაუგან || ალავგან), *Teniribii* (თენირიბი), *žužebi* (ჯუჯები), *Xadaožucha* (ხადაოჯუხა), *Aγrževan* (აღრჯევან).

Нарялу с собственными именами наш диалект знает и племенное название *nart-i* (ნართი); *nartis-kalaki* (ნართის ქალაქი [нартовский город]).

3. Предполагаемая связь между осетин. формами *Sozruquo* (— *Sozər*) и *Soslan* (Абаев) находит свое подкрепление в мтарачинских формах (*Sosran*, *Sosuan*), а именно—автор считает возможным такое развитие: *Sozər-an* → *Sosur-an* → *Sosr-an* → *Sosl-an*. В основе форм *Batuqo* || *Batoqa* || *Baili*—*Batoqo* || *Mairbati—qeeli* || *Batribeg* лежит *Batu* || *Batur* || *Bato* (до — *qwa* кабардинского происхождения), что соответствует сев.-кавк. материалам (*Baturaz*).

4. Для определения путей проникновения данного эпоса в грузинскую языковую действительность обращает на себя внимание осетинско-грузинские (resp. мтарачинские) отношения в области лексики. С осетинского языка в мтарачинском заимствованы след. слова: 1. *paxšoba* бახშმა (говорить),ср. *pəxas* || *pəxaš*, 2. *duroiani saxli* დურიანი სახლი ('дом содержащий камень') ср. *dur* ('камень'), 3. *gvinoli* გვინოლი ('сояха'), ср. *ginon*, *gwinon*,

<sup>1</sup> Горная Рача (Мтарача) клином врезана в Кавкасиони и представляет крайне северную часть Оисского района. Горнорачинцы соприкасаются с северо-кавказскими народами.

4. talaqaur-i талягуаръю,ср. tallax, 5. ѣика ѣоја, ср. ѣакка, 6. кагъина ѡоръюбо ('хлеб'), ср. kärjin, 7. түзіра ѡүжюру ('копье', 'штык'), ср. түзіра. Вместо осет. 3 (d) в мтарачинском имеем չ (x) в словах: Ѣакка (dշիյա)— Ѣика (չոյա), түзіро (ѡւժորъ)—түзіра (ѡւժորъ), kärjin (յօրծօբ)—кагъина (յօրչօբօ),—но это произошло не на грузинской почве: соответствующие слова представляют собой древне-двалийские формы. Как известно (Г. С. Ахвледiani), на древних ступенях осет. языка свидетельством африкатам иронского и дигорского диалектов соответствовали шипящие аффрикаты в двалийском диалекте. Следовательно, грузинский диалект сохранил нам архаичную форму, утерянную современным осет. языком.

Академия Наук Грузинской ССР  
Институт языка имени акад. Н. Я. Марра  
Тбилиси

#### 300608770 400608761—ПИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. В. с. Миллер. Черты старинных в сказаниях и быте осетин. ЖМНП, 1882, кн. VIII; Отголоски иранских сказаний на Кавказе. «Этногр. Обозр», 1889. кн. 2; Кавказско-русские параллели. Этногр. Обозр., 1891, кн. 10, 11.
2. G. Dumésil. Légendes sur les Nartes. Paris, 1930.
3. В. И. Абаев. О собственных именах народного эпоса. ЯМ, V. 1935.
4. В. И. Абаев. Опыт сравнительного анализа легенд о происхождении народов и племян. Сборник: Памяти акад. Н. Я. Марра, 1931.
5. В. И. Абаев. Из осетинского эпоса. 1939.
6. სვანური პრობაზული ტექსტები. I. ბალსხემოვური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და 3. თოფურიამ. 1939, გვ. 414.
7. შოთა ძიძიგური. ქართ. ენის მთარაჭული დაალექტის მთავ. თავის. ენიშვის მოამბე, II, 1937, გვ. 72.
8. შოთა ძიძიგური. კონიუნქტურის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის 3 პ. სუბიქტური სუჟიქსის პრობლემასთან დაკავშირდით. ენიშვის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 105.
9. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. ოსური ენის ისტარიისათვის. დაალექტია განრიგება გაპალატალუ-ბულ ველარ თანხმოვანთა და აფრიკატა მიწედვით. ტფილ. უნივ. მოამბე, V, 1925.
10. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ. ენიშვის მოამბე X, 1941, გვ. 194.
11. В. с. Миллер. Осетинско-немецкий словарь. Пол. ред. и дополни. А. Фреймана. 1929.
12. სულ ხან-ხაბა თ რ ე ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ. 1928.
13. სვანური პოეზია. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეგიანმა. 1939. გვ. 24.
14. სიმ. ჯ ა ნ ა შ ი ა. ეგნატე ინგოროვას გერფალოგიისათვის. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, წიგნი, 1935. გვ. 66 და შემდევ.

ლიტერატურის ისტორია

დავით კობიძე

შიგსახმ ჩატარ დარღვევის ჩართული შესიდის სპარსულთან  
დამოკიდებულების საკითხისათვის

ამბავი ოთხი დარღვევისა (ყისსე ჩატარ დარღვევი) სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ძეგლია<sup>1</sup>. მისი ავტორის ვინაობა უცნობია სპარსული ლიტერატურის მკულევართათვის.

თხზულება, მართალია, ნიზამის სკოლის ყველაზე დიდ წარმომადგენელს ხსორო დემოლებას მიწერება [3,4], მაგრამ მისი საერთო ლიტერატურული ხასიათი გვარწმუნებს, რომ იგი, როგორც ეს შენიშნული აქვს ირანისტ ე. ბერ-ტელს [5], უთუოდ არ არის დემოლევის კალმის ნახელავი. მისი ენა უფრო უახლოვდება, სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის საიგა-არაკი ლიტერატურული თხზულებების ენას, ვინემ ხალხურს; აქ გამოიცემული ამბები (თავადასაგლები) ოთხი დარღვევისა და იგრეთვე კონსტანტინებოლის მეფის აზადბატრისა ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ პატარ-პატარა რომანებს წარმომადგენნ; მათი სუჟეტური გაშლა მეტად რთული და ხლართიანი გზით მიმდინარეობს. აღნიშნული თხზულების საერთო სახე იმაზე მიგვითითებს, რომ მას ჰყავს კარგი ლიტერატურული ნიჭითა და გემოვნებით დაჯილდოვებული ავტორი, რომლის ვინაობა საძიებელია.

თხზულების როგორც სპარსულ, ისე ქართულ ვერსიაში<sup>2</sup> ორი რელეგიური მოძღვრების—კერპთაყვანის მცემლობისა და მუსლიმანობის ერთმანეთთან დაპირისპირება მოჩანს. აქ კერპთმასახურობა, როგორც ამას მართებულად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე [8], დაგმობილია, ხოლო მუსლიმანობა კი წმინდა და კეშმარიტი რჯულადაა აღიარებული:

„მართალი, კეშმარიტი რჯულა ეს არის, რომ მე მიქირავს მეთქი, რომელსაც ცა და ჰეყანა, წყალი და კაცი, ნადირი და მფრინველი, შე და მთოვარე და ვარსკვლავნი გაუკეთებია და დაუბადებიან, ლმერთი<sup>3</sup> ის არის, ყოველგან არს და ყოველსავე აღასებს;

<sup>1</sup> სპარსულიდან მომღინარე მისი ვერსიები მოიპოვება პინდუსტრულ უნაზედაც. სპარსული ტექსტი გამოცემულია ლითოგრაფიულად [1]. ჩვენ ვისარგებლეთ საქართველოს მუხეუმის მუსლიმ. ფონდის ხელნაწერით [2], იგი (ზომით 20,4×13,5) შეიცავს 158 ფურცელს და გადაწერილია პიჯრის 1226 (=1800) წელს.

<sup>2</sup> მისი შინაარსი გადმოუცია ალ. ხახანაშვილს [6], რომელსაც აგრეთვე ამ ნაწარმოებსა და „ათას ერთ დამიანძი“ მოთხერობილ ზღაპართა შორის არსებული საერთო მომენტებიც აღუნიშნავს. ქართული ტექსტი გამოცემულია სამჯერ (მესამედ 1899 წელს), მაგრამ იმის გამო, რომ გამოცემულ ტექსტში ცელალებებია შეტანილი, ჩვენ ხელნაწერით [7] სარგებლობა გამჭვიდონეთ.

<sup>3</sup> ხელნაწერში კარაგმით.

რომელსაც ქსენი დაუბადებიან, ღმერთი<sup>1</sup> ის არის და თაყვანისცემაც იმას მართებს და იმას შევნის, თორემ შენს ბუთს რა შეუძლია, ვინ დაუბადებია, ან ვინ გაუჩენიან; ეგ კველა ეშმაქის საფრთხე არის კაცის ცუნებისათვის, ჯოჯოხეთში შეყვანისათვის” ([7], ფ. 258<sup>a</sup>—[?], ფ. 86<sup>b</sup>—87<sup>a</sup>).

ფანტასტიკური ელემენტების უხვად შემცველ ამბებში აეტორს მუსლიმანური რელიგიის იდეებიც ჩაუქმოვია. თხზულება, როგორც ეს ყველაფრიდან საჩანს, კრპითმსახურთა შორის ისლამის გაცრულების მიზანსაც ექსახურება. სა-ფიქრებელია, რომ იგი შეთხული იყოს ირანს გარეთ კრპითმსახურთა მიერ გარ-შემორტყმულ მუსლიმან-ირანელთა წრეში.

„ყისაბად ჩაპარ დარვიშ“ ლექსნარევი პროზითაა დაწერილი; მაგრამ ლექ-სები აქ ამბას შინაარსეულ მსვლელობას არაფერს ჰქონის; ისინი აქ მხოლოდ ზედმეტი ჩუქურთმების შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობ, ეს გარემოება უნ-და პერნოდა მხედველობაში ქართველ მთარგმნელს, რომელსაც ორც ერთ შემ-და თხვევაში არ გადმოუდია ის, რაც აქ ლექსებითაა გადმოცემული, გარემოება, რაც ქართულ ვერსიას, სპარსულში მოთხრობილი ძირითადი ამბების გადმოცე-მის თვალსაზრისით, დაბრკოლებას არ უქმნის.

ქართული ვერსია შედარებით ამოკლებს ტექსტს, მაგრამ ეს შემოკლება ძირითად ამბავთა შემოკლების ხარჯზე არ ხდება. იმის გასათვალისწინებლად, თუ ქართულში რა ხასიათის შემოკლებასთან გვაქს საქმე, განვიხილოთ ერთი ადგილი. სპარსულში წერია:

„მეორე დარვიში თავიზიანად მუხლებით დაჯდა, მსგავსად ახალი გაზა-ფხულის ღრუბლისა, მისმა თვალებმა ცრემლები გააწვიმა, მისი საიდუმლოების კორორი გაიშალა და თქვა:

[ბევთი] ძვირფასნო, ვისაც თავში გონება გაქვთ,

ცოტა ხნით ჩემს სიტყვას ყური ათხოვეთ.

დვირფასო დარვიშებო! იცოდეთ, რომ მე ფადიშაპის შვილი ვიყავ აჯამის მხრი-დან“ ([2], ფ. 3<sup>a</sup>).

ქართულ ვერსიაში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

„წამოიჩიქა მეორე დაერიშმან, მრავალი იტირა და თქვა: მე თქვენი ბა-ნდა ირანის ხელმწიფის შაპი<sup>2</sup> მანუჩარის შვილი ვარ“ ([7], ფ. 247<sup>a</sup>).

ორიგინალში დარვიშის ატირება მხატვრულადაა წარმოდგენილი. აქ ცრემ-ლები გაზაფხულის წვიმისათან, ხოლო ენა კი ვარდის კოკორთანაა შედარებული; გაზაფხულის წვიმის (ცრემლებში) ვარდის კოკორი (ენა) გაშალა (აამეტყველი). ქართულში, როგორც ვხედავთ, ყოველივე ეს მარტივადაა გადმოცემული

(„მრავალი იტირა“). აგრეთვე გამოტოვებულია ორიგინალში ლექსად გადმო („მრავალი იტირა“). აგრეთვე გამოტოვებულია დარვიშისადმი (აზიზანი ქე დარ სერ ჰერიდ, იქი სა, ცემული მიმართე დარვიშებისადმი (აზიზანი ქე დარ სერ ჰერიდ, იქი სა, ათ ბაპარფემ გუშ დარიდ-ძეირფასნო, ვისაც თავში გონება გაქვთ და სხვა) სიტყვები, რომლებსაც ძირითადი ამბის (დარვიშის თავგადასავლის) და სხვა სიტყვები, რომლებსაც ძირითადი ამბის (დარვიშის თავგადასავლის) ვადმოცემისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

<sup>1</sup> ქარაგმით.

<sup>2</sup> ხელნაწერში: შაპია.

სპარსულში აჯამისი(-ირანის) მეფის სახელი არ იყითხება, მაგრამ მთარგმნელის ხელში მყოფ ტექსტში მისი ორსებობა სავარაუდოა. სანაცვლოდ სპარსული წინადაღებისა „ბანდა ფალიშავ ზადე ბუდამ აზ ვილადათი აჯამ“ ქართულში იკითხება: „მე თქვენი ბანდა ირანის ხელმწიფის შაპი მანუჩარის შევლი ვარ“. სიტყვა „ბანდა“ მონის და აგრეთვე თავებით საუბარში მე-ს მნიშვნელობით იხმარება. მს სპარსულ ფრაზაში იგი უნდა გავიგოთ არა „მონის“, არამედ მე-ს მნიშვნელობით („მე ფალიშავის შვილი ვიყავ“ და სხვა). საინტერესოა, რომ, მთარგმნელს იგი უფრო „მონის“ მნიშვნელობით გაუგია („მე თქვენი ბანდა“ მე თქვენი მონი), მაგრამ მიანც უცვლელად დაუტოვებია (და ამის მსგავსი შემთხვევები მთელი ტექსტის მინძილებელ არც ისე იშვიათია).

ამ პატარა ადგილის შედარების შედეგად არ უნდა დაგვრჩეს ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ქართული ვერსია სპარსულის გამარტივებულ სახეს წარმოადგენს.

— ასეთი სახის შემოკლებათა თუ თავისებურებათა მიუხედავად, ქართული ტექსტი, რომელშიაც ხშირად სპარსული ვერსიის სათანადო ადგილების სიტყვა-სიტყვითი თარგმანებიც გვხვდება, თხზულების ლიტერატურული ხასიათისა და მისი ძირითადი მოტივების დაცვით ახერხებს სპარსულში მოთხოვილი ამბების მწყობრად გადმოცემას. შინაარსეული ხასიათის მცირე გადახვევდი (ქართულით მეოთხე დარვიში შეილა ინდოეთის მეფისა, სპარსულით კი იგი ჩინეთის ხელმწიფის შეილადაა გამოყვანილი და სხვა), რაც ქართულ ახასიათებს ჩვენს მიერ შესწავლილ სპარსულ ტექსტით შედარებით, მთარგმნელის განკარგულებაში მყოფ ვარიანტულ სხვაობათა შემცველი სპარსული ტექსტის არსებობით უნდა აიხსნას.

ქვე უნდა შევიწნოთ, რომ თხზულების მთავარ გმირს (მეფეს, რომელსაც დარვიშები თავიანთ თავგადასაგალს უაბობენ) სპარსულში ეწოდება „აზადბატ“. ქართული ვერსიის ხელნაწერი ტექსტები სხვადასხვაგვარად კითხულობენ ამ სახელს. გვხვდება „ბახტიერ“ [7], „ბახტიარ“ [8] და სხვა.

ბეჭდური გამოცემები, რომელთა წყაროები გამოცემებში აღნიშნული არ არის, კითხულობენ „ბახტიურ“-ს, თუ იგი „ბახტიერის“ მცდარიად ამოკითხვის შედეგად არაა მიღებული.

ქართულ ვერსიაში, როგორც ეტყობა, სპარსულში წარმოდგენილი სახელის „აზადბატ“-ის წინა ნაწილი („აზად“) დაკარგულა და დარჩენილი „ბახტ“-ისაგან „ბახტიერ“, „ბახტიარ“ თუ „ბახტიურ“ წარმოშობილა.

სიტყვის „დარვიშის“ საბადლო, „რ“-სა და „ე“-ს ადგილთა შენაცვლების გამო, ქართულში, იკითხება „დავრიშ“; „ჩაპარ“ კი სპარსულ ხალხურ გამოთქმაში გაბატონებული ფორმით („ჩარ“) არის გადმოცემული. ამგვარადაა შემუშავებული ქართული ვერსიის სათაური—ჩარ დავრიშიანი.

მთარგმნელს ხშირად თითქმის უცვლელად გადმოულია სპარსული სიტყვები, როგორიცაც მაგალითად „ბუთ“ (კუპი) და სხვა მისთანანი, რის გამოცხენი ძეგლი ქართულ-სპარსულ ლექსიკურ ურთიერთობათა კელევის თვალსაზრისითაც საყურადღებოა.

„ყისისახე ჩაპარ დარვიშ“-ის ქართული ვერსია (ჩარ დავრიშიანი) თვალ-ენ. „მოამბე“, ტ. V, № 10.

საჩინო აღგილს იქერს ჩენი მშობლიური ლიტერატურის საზღაპრო ეპოსის  
იმ ძეგლებს შორის, რომელთა ლიტერატურული რაობის გარკვევა სპარსული  
შეცრლობის ღრმა შესწავლასთანაა დაკავშირებული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 19.9.1944)

## ИСТОРИЯ ЛИТЕРАТУРЫ

Д. И. КОБИДЗЕ

К ВОПРОСУ О СВЯЗИ ГРУЗИНСКОЙ ВЕРСИИ РОМАНА *Kissah i Char Darvish* («ИСТОРИЯ ЧЕТЫРЕХ ДЕРВИШЕЙ») С ПЕРСИДСКОЙ ВЕРСИЕЙ

Резюме

В грузинской версии *Kissah i Char Darvish* («Чардваришиани») текст персидского оригинала передан в сокращенном виде; сокращение происходит не столько за счет урезывания основных эпизодов романа, сколько за счет пропусков стихотворных отрывков, которые местами повторяют прозаический текст.

Грузинский текст, сохранив основные мотивы и общий характер произведения, последовательно передает все главные эпизоды персидского романа.

Грузинская версия имеет значение как с точки зрения изучения грузино-персидских литературных связей, так и связей лексических.

В грузинском тексте нередко встречаются персидские слова без всякого изменения в грузинской транскрипции (напр., «But» = идол и др.).

Академия Наук Грузинской ССР  
Институт истории грузинской литературы  
Тбилиси

## 3000000 ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. *Kissah i Char Darvish*, Bombay, 1295.
2. საქართველოს მუზეუმის მუსლიმანური ფონდის ხელნაწერი № 607.
3. Grundriss der iranischen Philologie, II, Strassburg, 1896—1904, 324.
4. Charles Rieu, Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, II. London, 1881, 762.
5. Е. Бертельс. Очерк истории персидской литературы. Ленинград, 1928, 69.
6. А. Хаканов. Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва, 1901, 155—162.
7. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი А—860 (აფშერა მიხეი მოცემული აქვს მ. ჯანაშვილს):  
Описание рукописей церк. музея, III, გვ. 85—90.
8. აკად. ჭ. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, თბილისი, 1911, 393.
9. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი S—61.

რულია წარწერით, თავდაპირველად სკოტია  
ყოველმხრივ ღია იყო, რადგან სკოტის თვაზე  
ორმალიანი შესასვლელის თალები ეყრდნო-  
ბოდა.

წარწერის დასაწყისი იპოვება სკეტის  
დასაცლეთის მხარეს. პირველი სტრიქონის  
ასოები ჯერ წარიღია, შემდეგ მათი ზომა  
თანდაათანობით მატულობს. ამავე დროს სტრი-  
ქონიც ოდნავ ძარს ეშვება, ე. ი. დახრილა,  
და ამიტომ პირველი სტრიქონის ბოლო ასოე-  
ბი მეორე სტრიქონის დასაწყისის ასოებს  
უსწორდება. მომდევნო სტრიქონებიც ასევე  
მიიმართება და, ამგარად, ყოველი წინა-  
სტრიქონის ბოლო შემდეგი სტრიქონის დასა-  
წყისის დონეზე მოდის, ე. ი. სტრიქონები  
სპირალისებრ უფლის სვეტს. მის გამო უკა-  
ნასქნელი სტრიქონის ასოები დაწვრილებუ-  
ლია და ბოლო ასოები სულ აკლია. სტრი-  
ქონების დასაწყისი აღნიშვნულია წარიღი ვერ-  
ტიკალური ხაზით, რომელიც წარწერის კედ-  
ლით დაფარულ ნაწილში იყო ჩამალული.

არე, რომელიც წარწერისათვის არის განკუთვნილი, 53 სმ. სიმაღლისაა. გარშემოწერილობა სვეტისა სარტყელთან 218 სმ. უდრის, ზემოთ კი, სვეტის თვეთან—211 სმ. წარწერა 9 სტრიქონს შეიცავს. იგი შესრულებულია ასომთავრული კუთხოვანი დაწერილობით. სიტყვებს შორის ინტერვალი იშვიათად არის გაშეებული. იძულებითი ინტერვალები კი, როგორც სიტყვებს შორის, ისე თვეთ სიტყვების შიგნითაც, ქვეს ფორმებით არის გამოწვეული (ეს ფორმები წარწერის გაღმონახატზე შრიიხებით აღნიშნეთ). ასოთა სიმაღლე ცვალებადია და მათი განლაგებაც ირ არის თანაბარი, რაც იმდროინდელი ეპიგრაფიული ძეგლებისათვის უცხო არა, სიტყვები სრულად ირის დაწერილი, ქარაგმა იშვიათად იხმარება, ისიც საკოველთაოდ ცნობილ შემთხვევებში: მაგ. მ' მ' თ—ღმრთივ. მ' ხი—რომელმან და ა. შ., ანდა ზოგჯერ საკუთარი სახელებისათვის, მაგ. თ'—თეოდორე (ან თევდორე).

წარწერა ასოთა მოხაზულობის მხრივ ფრიდ საინტერესოა, განსაკუთრებით შემდეგი ასოები: ჩ—ნ, ტ—თ ზ—ჰ. ასო ლ-ს გარდამავალი ფორმა აქვს —შ. დამწერის თავისებური ხელი ჩანს 7—ე, ზ—ვ, ჲ—გ და ზ—ლ ასოების წინა ფეხის ირიბ მოხაზულობაში. „შ“ ყველგან მოცემულია მარტო ტ—ო=თი და არა ტ—ოვ=ით.

მხედრული ტრანსლიტერაცია წარწერისა (იხ. გადმონახატი წინა გვერდზე) ქარაგმების გახსნით შემდეგი იქნება:<sup>1</sup>

1. [სახ]ელითა ღმრთისადთა, [მამისა და ძისა და] სო[ლისა<sup>2</sup> წ]მიდისქა-  
მთა, მეობებითა წმიდისა ღმრთის მ

2. შემოძღვისადთა, [შეწევნითა წმიდისა გიორგი]სითა, კელმწიფობასა  
ღმრთივ დამყარ[ე]

3. ბოლოსა<sup>3</sup> წმიდ[ი]სა [ქოსტანტი]ნე მეფისისა, რომელმან ბრძანი და  
ჩაფიდა ჰერე

4. თს [შ]იგან, ჰერთა<sup>4</sup> მეფ[ე]ვ გა[ქ]ცია<sup>5</sup> და მონით<sup>6</sup> მშოიდობით<sup>7</sup>  
იქცა. ცისკრად ა

5. ლავერდს ილოცა; [მ]წოხ[რ]ი<sup>8</sup> ბრძანს გადაჰქოთა.<sup>9</sup> მეორედ კულა ავი-  
და, ვეჯინ

6. ისა ციხე დალეწა. ქართლს შინა ოფლობასა<sup>10</sup> ტბელისა ივანესა,<sup>11</sup> შოთა  
შოთა

7. რ ე[ბი]სკო[სო]ბასა<sup>12</sup> სანატრ[ე]ლისა ყესა, ჯვრითა მისითა, გაზრახვი-  
თა ნიქოს

8. ე[ლი]სა სანატრელისა სტეფანე ებისკოსისადთა<sup>13</sup> ძალითა შეწევნი-  
თა მოყვასა

9. თავთა<sup>14</sup>. მე თეოდორე<sup>15</sup> თაფლავსძემინ დავდე საძირკველი წელ-  
ნი იყნეს<sup>16</sup> ხუი ქრონიკ.

(1) დამარტინისათვის წარწერის განშიურვის დროს დოც. ილ. აბულაძეს მადლობას მო-  
ახსენება.

(2) წაიკითხე: სულისა.

(3) წაიკითხე: დამყარებულისა

(4) რომ სიტყვა „ჰერთა“-ს შეაში ასეთი დიდი იმპერატორია ეს ქვის ფორმების ბრალია.

(5) მოსალოდნელი იყო: გააცია.

(6) წაიკითხე: მონით:

(7) წაიკითხე: მშოიდობით.

(8) წაიკითხე: მწუხრი

(9) მოსალოდნელი იყო: გადაჰქოთა.

(10) წაიკითხე: უფლობასა.

(11) მოსალოდნელი იყო: ივანესა.

(12) მოსალოდნელი იყო: ებისკოპოსობასა.

(13) მოსალოდნელი იყო: ებისკოპოსისადთა.

(14) წაიკითხე: მოყვასთამთა.

(15) შეიძლება წაიკითხოთ „თევდორე“-ც.

(16) მოსალოდნელი იყო: ივანეს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სტრიქონების ირიბმა მიმართულებამ შეამ-  
ცირა ბოლო სტრიქონის უკანასკნელი ასოებისათვის განკუთვნილი არე და ეს  
გახდა მიზეზი იმისა, რომ სიტყვა „ქრონიკონი“ შეწყვეტილია და არც წელი-  
წადის აღმნიშვნელი ასოებია გამოკვეთილი.

ერედვში ყოფნის დროს ჩვენ ეჭვი შევიტანეთ, რომ არ არის სადმე ბო-  
ლო ასოები სარტყლის ქვემოთ დაწერილი? რაღანაც უკანასკნელი სიტყვა-  
სწორედ იმ ადგილის მოდის, სადაც სვეტზე კდელი იყო მიღმული, ამისა-  
თვის სარტყლის ქვემო არეც 25—30 სმ. სიმაღლეზე გავათავისუფლეთ, მაგ-  
რამ აქაც ქრონიკონის დაბოლოვება კერ ვნახეთ. ამნაირად, უნდა ვითიქროთ,  
რომ წარწერა თვით სტატს დაუმთავრებელი დარჩენია.

სიტყვა „ქრონიკონი“-ს წინ მოთავსებული წარწერის თარიღი „წელი-  
იუნის ხფი“ ქართული წელთაღრიცხვით 906 წ. უდრის (6510—5604=906 წ.).  
ძეგლის შესწავლამ X—XI ს-ის ქართული ხელოვნების სხვა ხუროთმოძღვრულ-  
ძეგლებთან დაპირისპირებით დაგვანახვა, რომ ერედვის ეკლესია არის იშვია-  
თი ნიმუში სწორედ X ს-ის დასაწყისისა. ამრიგად, XI ს-მდე საქართველოში  
გავრცელებული წელთაღრიცხვით გამოანგარიშებული თარიღი 906 წ., რაც  
მართებულად ჯერ კიდევ აკად. ვ. ოთვურიამ [1] აღნიშნა, უდაოა.

წარწერის ზედა ორი სტრიქონის შუა ნაწილი ისე არის დაზიანებული,  
რომ აქ ასოების გარკვევა შესძლებელია. ეს დაკარგული ნაწილი ეარაუდით  
ალვადგინეთ. წმ. გოორგის სსენტია მეორე სტრიქონში შესაძლებლად მიიჩ-  
ნიეთ იმიტომ, რომ ეკლესია დღეს ამ წმინდანის სახელს ატარებს და ძველა-  
დაც, როგორც სხვა წარწერიდან ჩანს, ამ სახელობისა ყოფილა.

მეორე სტრიქონის აღდგენილი ნაწილის მომდევნო სიტყვებს: „ერელმწი-  
ფობასა ლმრთივ დამყარებულისა წმიდისა“ მოპყება დაზიანებული სიტყვა,  
რომლის ბოლო ასოებად „ნე“ იჩინება, და მეტმე—„მეტისასა“. ამ სიტყვის და-  
ზიანებული მონაკვეთი, უკეთესია, მეტის სახელს უნდა შეიცავდეს. ვკადოთ ამ  
სახელის დაგვენა.

სიტურიული მომენტები, რომლებსაც წარწერა შეიცავს, გვიაღვილებენ ამ  
საყითხის გადაწყვეტას, რადგან ისინი X ს-ის დასაწყისის ცნობილ ფაქტებს  
უკავშირდებიან.

თვით ძეგლის თარიღი, 906 წ., და სახელის დარჩენილი ორი ბოლო ასე  
„ნე“ შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაულოთ აქ კოსტანტინე მეფე, თებაზთა-  
მეფის ბაგრატ I-ის ძე, რომელიც გამეფდა 873 წელს, ხოლო მისი სიკედლის  
წელი „მეფეთა დივნის“ მიხედვით 912 წელს არის დადებული [2]. აიდ ივ. ჯა-  
ვახიშვილის აზრით „აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს, იმიტომ რომ კოსტან-  
ტინე ცოცხალია 914 წლის შემდგომაც [3]. აյად. ს. ჯანაშიას კოსტანტინეს  
შეილის, გოორგი II-ის გამეფება, მამის სიკედლის შემდეგ 915—916 წლიდან  
მიაჩნია შესაძლებლად [4]. მეტის სახელი, რომლის ბოლო მარცვალი-ღა-  
შემოუნახავს ჩვენს წარწერას, უთუოდ კოსტანტინეა და არა კოსტანტი, რო-

<sup>[1]</sup> წარწერა, რომელშიაც წმ. გოორგი იბსენიება, ეკლესის სამშრეოს კარის მარჯვენა  
ჭირთბლის ქვედა ქვახე მათავსებული. წარწერა თავდაირველი არ არის, თუმცა კი ასლო-  
სანას უნდა ეკუთვნოდეს. [1].

გორც ამას „მატ. ქ-ჯ“-ს ანასეული ნუსხა გადმოგცემს. რამდენადმე უჩვეულოდ გვერენება მეფის საფუთარი სახელის წინ გარკვევით დაცული სიტყვა „წმიდისა“. რის საფუძველზე უნდა ეწოდებინათ კოსტანტინესათვის „წმიდა“, მასალებიდან არა ჩანს.

საინტერესოა, კოსტანტინე მეფის მოხსენების შემდეგ წარწერა გადმოგვცემს, რომ ამ მეფემ ჰერეთში გაილაშქრა, ჰერეთის მეფე გააქცია და შევიდობით დაბრუნდა: „რომელმან (ე. ი. მეფემან) ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფედ გაქცია და მუნით მშეიდობით იქცა“. აქ მოთხერობილი ამბები, რომელებიც თანამედროვეს მიერ არის ოდევედილი, თითქმის ზედმიწევნით არის აღნიშნული „პატრიანე ქართლისახი-შიც“. წარწერა არამცუ ადასტურებს „მატ. ქ-ჯ“ ცნობას, არამედ ავსებს მას ძლიან მნიშვნელოვანი ისტორიული მონაცემებითაც.

„მატ. ქ-ჯ“ მოგვითხრობს „მაშინ უკრია კურიკე ქორებისკოსმან კოსტანტი (resp. კოსტანტინე) აფხაზთა მეფესა, ჩავიდეს ერეთად, მოადგეს ციხესა ვეჟინსა. აფხაზთ მეფე დაუდგა ზედათ-კერძო და კურიკე ქუმოდ. და ვითარ ძისწურეს წალებად, მაშინ ადარნეს პატრიკი მოვიდა, პარასკევა ჯუარსა მიუჰყრო ზიგის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გვაიზნი, ხოლო კუირიკეს ორქობი; და ვითარ დაიზავნეს, შემოიქცეს“ [5]. წარმოდგენილი სურათი, რომელიც აქ უფრო ვრცლადაა გადმოცემული, ვიდრე ამას ზემოთ წარწერიდან მოყვანილი აღვილი გვიწვდის, როგორც ვნახავთ, ეხება კოსტანტინეს პირველ ლაშქრობას ჰერეთს, რაც წარწერითაც და „მატ. ქ-ჯ“ ცნობითაც შევიდობით დამთავრებულია. შეხვედრა ხსენებულ დოკუმენტთა შორის თხრობის მომდვერო ნაწილშიაც გვაქვს.

შევიდობით დამთავრებული აბების შემდეგ კოსტანტინე მეფემ, როგორც წარწერა გადმოგცემს, „ცისკრად ალავერდს ილოცა“. ეს ცნობაც აგრეთვე მოიპოვდა „მატ. ქ-ჯ“-ში: „მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდას გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა“ [5].

ჩვენი წარწერის შემდგომი ცნობები უკეთ სრულიად ახალია: კოსტანტინეს რომ ცისკრად ალავერდს ულოცია, მწუხრს იგი ქართლში გადმოსულა: „მწუხრი ბრძებას გადაჭეთა“<sup>(1)</sup>.

ზავს ეტყობა საკითხი საბოლოოდ არ გადაუწყვეტია და საომარი მოქმედება ხელახლად დაწყებულია. ამას წარწერის მეხუთე სტრიქონის ბოლო სიტყვები გვამცნობს: „მეორედ კულა ვიდა ვეჯინისა ციხე დალეწა“.

წარწერის დანარჩენი ნიწილი ეხება აღვილობრივ საერო და სასულიერო პირებს და აგრეთვე ძეგლის ხუროთმოძღვარს — აღმშენებელს. ამ მხრივ წარწერა მნიშვნელოვან ცნობებს გადმოგცემს.

„ქართლს შინა უფლობისა ტბელისა ივანესა“, ასე გრძელდება წარწერა. ეს სიტყვები შეიძლება მხოლოდ ასე გაეიგოთ, რომ ქართლის (ან ქართლის ამ ნაწილის) მთავრად ივანე ტბელი იყო. იგი ამრიგად აღვილობრივი ფეოდალი

(1) სოფ. ბრება სადგ. გომიდან ჩრდილოეთი 15-ოდე კილ. მანძილზე მდებარეობს, სოფ. ატოცის ტა სოფ. ტკოცის ზეა. ალავერდიდან აქ გადმოსულა ერთი დღის განმავლობაში რამდენადმე საეცვლა.

ჩანს. მისი გვარი, თუ სადაურობა, უნდა მივიჩნიოთ წარმოშობილიდ არა შეკვეთის ტბეთიდან, არამედ იმ სოფ. ტბეთიდან, რომელიც ქ. სტალინის არის დაშორებული ექვსიოდე კილომეტრით, დასაცლეთით, და უშუალოდ ერედვისა და ბრეძას მიდამოებს უკავშირდება (ამ სოფ. ტბეთში დაცული იყო რამდენიმე წარწერა, სადაც ტბელნი ისტენიბოლნენ [1]). ამავე ტბეთის ფეოდალებზე უნდა იყოს ლაპარადი „მატ. ქ-დ“-შიც, სადაც მოთხოვილია, რომ აფხაზთა მეფის გიორგი II-ის შვილის კოსტანტინეს განდგომის შემდგომ და უფლის-ციხეში ბრძოლის დროს კოსტანტინე მეუჯა ტბელნი და სხვა აზნაურნი მიემზრნენ: „და ვითარ დაყო საში წელიწადი, იშყო მტერობად მაშისა თუისისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოიცხადა საქმე მისი, შედგა იგი (ე. ი. კოსტანტინე) უფლის-ციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი“ [5]. მეუჯა ბაგრატ III-ის დროს ტბეთის აზნაურები იმდენად გავლენიანი და შემძლებლები არიან, რომ, როცა ბაგრატ III მეფედ კურთხევის შემდეგ ქართლში გადმოიდის, ვინმე ქართარ ტბელი მას არ ემორჩილება და წინააღმდეგობის გაწევისაც უბედავს; „შემდგომად მასის გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნ ქართლისანი... ხოლო მას უაშსა აზნაურთა ქართლისათა რომელთმე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყუნეს მორჩილებასა შინა გურა-რანდუხტისა სა. იწინამდლურეს ქართარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად“ [5].

ამრიგად, ერედვის წარწერაში მოხსენებული იყანე ტბელი იმ ადგილობრივი აზნაურების საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდეს, რომელთა ადგილსაზყოფელი სოფელ ტბეთს უკავშირდება.

იყანე ტბელის შემდეგ წარწერაში ისტენიება მთავარეპისკოპოსის, რომლის სახელს დამწერა ქარაგმით ასე გამოხატავს: „ყუსა“. „მთავარ ეპისკოპოსობასა სინატრელისა ყუსა“. როგორ უნდა გაიხსნას ექ ქარაგმა, ან რამიმე გრაფულ შეცდომისთან ხომ არა გვაქვს საქმე—ეს ჯერჯერობით გაურკვეველი გვრჩება.

ეკლესია, როგორც ამას წარწერა გვაუწყებს, აშენებული ყოფილა ნიქონელი ეპისკოპოსის სტეფანეს განზრახეით და მოყუასთა დახმიარებით: „განზრახეითა ნიქოსელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისამთა, ძალითა, შეწევნითა მოყვასთამთა“.

ამრიგად, წარწერა საგანგებოდ აღნიშნავს ეკლესიის აღმშენებლობაში საეკლესიო იერარქების მონაწილეობას. რაც შეეხება მოყუასთ, ისინი, აღბათ, კელესის სხვა მსახურნი იყვნენ.

ტბეთის ხუროთმოძღვარი—აღმშენებელი, როგორც ბოლო სტრიქონიდან ჩანს, ვინმე თეოდორე თაფლახსძე ყაფილა: „მე თეოდორე თაფლახსძემან დავდე საძირკელი, წელი იყნეს ხიფი“.

ამგვარად, წარწერის მთლიანად წაკითხვამ არა მარტო შეავსო და დააზუსტა იმ 20 წლის წინათ გამოქვეყნებული ტექსტი, არამედ მოგვცა უაღრე-

სად შინაარსიანი მოთხოვის საქართველოს ისტორიის პოლიტიკური მოვლენებისა X ს-ის პირველ ათწლეულში.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი  
 ობილისი

(შემოვიდა რედაქციაში 1. 12.1944)

## ИСТОРИЯ ИСКУССТВА

### РУСУДАН МЕНИСАПВИЛИ

#### СТРОИТЕЛЬНАЯ НАДПИСЬ ЦЕРКВИ СВ. ГЕОРГИЯ В СЕЛ. ЭРЕДВИ

##### Резюме

Большая и своеобразная по формам церковь св. Георгия в сел. Эредви, которое расположено в 7 км к северо-западу от г. Сталинири (древний Цхинвали), имеет большую строительную надпись.

Надпись эта впервые, в небольших фрагментах из-за застройки колонны, на которой она высечена, была опубликована 20 лет назад акад. В. Т. Топурия [1]. В связи с изучением архитектурного памятника, была раскрыта вся надпись, при этом порчи текста оказались незначительные (см. прорись надписи).

Надпись точно датирована 906 г.

В переводе надпись гласит:

«Во имя Бога, Отца, Сына и Святого Духа, с ходатайством св. Богородицы, с помощью св. Георгия, в царствование Богом утвержденного царя Костантина, который изволил отбыть (букв.: повелел) и прибыл в Эретию (Héreti), обратил в бегство царя Эретии, и возвратившись оттуда с миром утреннюю выслушал (букв.: на утренней молился) в Алаверди, к вечеру (же) прибыл з Бредза. Направился опять второй раз и разгромил крепость Веджини. (Совершилось это) при владичестве в Картли Ивана Тбели (и) при архиепископстве блаженного... (имя дано в сокращении и пока не расшифровывается). Его крестом (п) по замыслу епископа никозского, блаженного Стефана, усилиями и помощью близких, я, Теодоре Тапланис-лзе заложил фундамент, лето было 6510 (т. е. 6510—5604=906), кроникон».

Текст надписи является не только редким явлением в грузинском эпиграфическом материале, но и исключительно богатым по конкретным историческим сообщениям (второй поход царя Костантина войной в Эретию, исторические лица эпохи и т. д.).

Академия Наук Грузинской ССР  
 Институт Истории Грузинского Искусства  
 Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა:—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები. საისტორიო მოამბე, წ. II, ტუ., 1924.
  2. „ძველი საქართველო“, ტ. II, განკ. III, ტფ., 1911—13.
  3. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. ტუ., 1913.
  4. ს. ჯანაშვილი. საქართველო აფრინდელი ფეოდალიზმის გზაზე. ტუ., 1937.
  5. ანასული ქართლის ცხოვრება. ტფ., 1942 წ.
-

მეცნიერებების სარჩევი—ОГЛАВЛЕНИЕ ПЯТОГО ТОМА—CONTENTS  
 OF THE FIFTH VOLUME

მათემატიკა—МАТЕМАТИКА—MATHEMATICS

6. ვაკუა. რიმანის წყვეტილ კოეფიციენტებიანი სასაზღვრო ამოცანა რამდენიმე უცნობი ფუნქციისათვის . . . . .	1
* Н. П. Векуа. Задача Римана с разрывными коэффициентами для не- скольких неизвестных функций . . . . .	10
6. ვაკუა. წყვეტილ კოეფიციენტებიანი სინგულარულ ინტეგრალურ გან- ტოლებათა სისტემები . . . . .	125
* Н. П. Векуа. К теории систем сингулярных интегральных урав- нений с разрывными коэффициентами . . . . .	133
ლეო მალნარაძე. კოშის ამოცანის ეფექტური ამოხსნების შესახებ პი- პერბოლური ტიპის ზოგიერთ წრფივ კერძო წარმოებულებიანი დი- ფერენციალური განტოლებებისთვის . . . . .	243
*Лео Магнарадзе. Об эффективных решениях задачи Коши для некоторых линейных дифференциальных уравнений в частных про- изводных гиперболического типа . . . . .	247
8. არეშკინი. ჯერადი ინტეგრობის თეორიისათვის ამსტრაქტულ სი- მავლენებზე . . . . .	357
*Г. Я. Арешкин. К теории кратного интегрирования на абстракт- ных множествах . . . . .	360
ლეო მალნარაძე. ელიფსური ტიპის კერძო წარმოებულებიან ზოგიერთ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა რეგულარული ამოხსნების ზოგადი წარმოდგენის შესახებ . . . . .	365
*Лео Магнарадзе. Об общем представлении регулярных решений некоторых линейных дифференциальных уравнений в частных про- изводных с мнимыми характеристиками . . . . .	368
დ. კვესელავა. მოსაზღვრე არების ქონტორმული გადასახვის შესახებ	463
*Д. А. Квеселава. О конформном отображении смежных областей	468
6. ვაკუა. რიმანის ერთი წრფივი წყვეტილ კოეფიციენტებიანი სასაზღ- ვრო ამოცანა ანალიზურ ფუნქციათა სისტემისათვის . . . . .	473
*Н. П. Векуа. Об одной линейной граничной задаче Римана с раз-	

\*გარსკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთვნის წინა წერილის რეზუმეს ან თარგმანს.

\*Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу пред-  
шествующей статьи.

\*Die mit einem Stern versehenen Titel betreffen die Zusammenfassung oder Über-  
setzung des vorangehenden Artikels.

ривными коэффициентами для системы аналитических функций . . . . .	481
*В. გიგელ აძე. Задачи о дифракции на плоскости . . . . .	575
*III. Е. Микеладзе. О вычислении интеграла функции, зависящей от параметра . . . . .	582
3. პაპუა ვაკელი. Численное вычисление интеграла Фредгольма в случае нелинейного ядра . . . . .	585
*П. С. Папков. О минимумах квадратичных областях, допускающих только двойничные классы . . . . .	588
*В. გიგელ აძე. Решение уравнения Гельмута в сингулярной точке . . . . .	663
*III. Е. Микеладзе. К вопросу численного дифференцирования . . . . .	666
ლეო მაღარაძე. Бондаревский метод вычисления производных . . . . .	667
*Лео Магнарадзе. Об асимптотическом представлении решений некоторых линейных уравнений в частных производных нормального гиперболического типа при большом значении параметра . . . . .	671
ა. ბიჭაძე. Сходимость метода Гурвица для вычисления производных . . . . .	761
*А. В. Бинадзе. Границные задачи для систем линейных дифференциальных уравнений эллиптического типа . . . . .	770
 დანართიანი თომია—THEORY OF ELASTICITY	
ა. რუხაძე. Дифракция на плоскости . . . . .	253
*А. Я. Горгидзе и А. К. Рухадзе. Изгиб парой закрученного стержня . . . . .	261
ა. რუხაძე. Дифракция на плоскости . . . . .	483
*А. К. Рухадзе. К вопросу деформации естественно закрученных стержней . . . . .	490
 ჰიდროდინამიკა—HYDRODYNAMICS	
დ. დოლიძე. Дифракция на плоскости . . . . .	373
*Д. Е. Долидзе. О некоторых свойствах гидродинамической функции Грина . . . . .	378
დ. დოლიძე. Дифракция на плоскости . . . . .	867
*Д. Е. Долидзе. Решение уравнения нестационарного пограничного слоя Прандтля . . . . .	874

## პილავლიკა—ГИДРАВЛИКА—HYDRAULICS

გ. მოსტკოვი. ზოგადი რიცხვითი ჰიდრაულიკური დარტყმების ანგარიშისათვის . . . . .	21
*M. A. Mostkov. Общий численный метод расчета гидравлического удара . . . . .	29

## ბალისტიკა—BALISTYCS

შ. მიქელაძე. ჭურვის სიმძიმის ცენტრის ტრაექტორიის გამოთვლის ახალი მეთოდი . . . . .	861
*III. E. Mikeladze. Новый метод вычисления траектории центра тяжести снаряда . . . . .	865
შ. მიქელაძე. რიცხვითი გაწარმოების ფორმულების გამოყენება საარტილერიო ჭურვის სიმძიმის ცენტრის ტრაექტორიის ელემენტების ანგარიშისათვის . . . . .	959
*III. E. Mikeladze. Применение формул численного дифференцирования к расчету траектории полета центра тяжести артиллерийского снаряда . . . . .	964

 მათემატიკის დაუზიდვის საკითხები—ВОПРОСЫ ОБОСНОВАНИЯ МАТЕМАТИКИ—  
 PROBLEMS OF FOUNDATION OF MATHEMATICS

ლ. გოკიელი. აქტუალური უსასრულოდ მცირის ცნების შესახებ . . . . .	11
*L. P. Gokheli. О понятии актуально бесконечно-малого . . . . .	16
ლ. გოკიელი. სიმძალის დაყოფა კლასებად რეფლექსური სიმეტრული და ტრანზიტული დამოკიდებულების საშუალებით . . . . .	493
*L. P. Gokheli. О разбиении множества на классы с помощью рефлексивного, симметричного и транзитивного отношения . . . . .	498

## გეოფიზიკა—ГЕОФИЗИКА—GEOPHYSICS

ბ. ნოდია. სამარშრუტო მაკრიტური გაზომები ოზფარეთის ნავთის საბადოს ზოგიერთ უბანზე . . . . .	383
*M. Z. Nodja. Маршрутные магнитные измерения на некоторых участках Омпаретского нефтяного месторождения . . . . .	388
*M. S. Nodia. Magnetic Itinerary Measurements of Some Sections of the Ompareti Oil Bed . . . . .	390
ბ. ბალავაძე. კობალტის მაღნის დაშესანის საბადოს ელექტრომეტრული გამოკლევები . . . . .	965
*B. K. Balavadze. Результаты электрометрического исследования дашкесанского месторождения кобальтовых руд . . . . .	970
*B. K. Balavadze. Results of an Electrometrical Investigation of the Dashkesan Cobalt Bed . . . . .	974

## ხელოვნების ისტორია

### რუსული მუზეუმის აუთორიზირებული მუზეუმის ისტორია

ერების მ. გიორგის მუზეუმის დამფუძნებლის შემოქმედი მუზეუმის ისტორია

ქ. სტალინირიდან ჩრდილო-დასავლეთით, შეიცილდე კილომეტრით და-შორებულ სოფ. ერების შეუ-გულში დაცულია მაღალი ციხის კედლებით ვარშემორტყმული და თლილი ქვით ნაგები ეკლესია. ეს ძეგლი კომპონიტოურ ამოცანათა სრულიად თავისებური გადაწყვეტის გამო, ქირთული ხუროთმოძღვრების ევოლუციის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ძეგლის საღმშენებლო წარწერა ოცა წლის წინათ ფრაგმენტალურად გამოსცა აკად. კ. თოფურიშვილი [1], რომელმაც მისი მნიშვნელობა, არა მარტო მასში დაცული თარიღის გამო, არამედ სხეა მხრითაც სათანადოდ აღნიშნა.

